გამარტივებული ელექტრონული ტენდერის
დ ო კ უ მ ე ნ ტ ა ც ი ა

პლატფორმა სასწორების ტექნიკური
მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი
2013 წელი

სარჩევი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის 3

2. ტექნიკური დოკუმენტაცია 4

3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი 5

4. დამატებითი ინფორმაცია 8

5. დანართი №1 სატენდერო წინადადების ფასი, ფასების ცხრილი და მიწოდების ვადა 9

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანების შესაბამისად.

1.2 ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.3 დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

1.5 სატენდერო პროცედურების განხორციელების ეტაპზე სუბკონტრაქტორ(ებ)ის არსებობის შემთხვევაში სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული უნდა იქნას პრეტენდენტსა და სუბკონტრაქტორ(ებ)ს შორის გაფორმებული ხელშეკრულებ(ები)ა.

1.6 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.7 პრედენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

2. ტექნიკური დოკუმენტაცია

2.1 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური მახასიათებლები:

2.1.1 შესყიდვის ობიექტია შემოსავლების სამსახურის სარგებლობაში არსებული ელექტრო სასწორების პროფილაქტიკული მომსახურების, ავარიული მომსახურებისა და საჭიროების შემთხვევაში სახარჯი მასალების შესყიდვა, რომელთა დეტალური ჩამონათვალი, დასახელება, მისაწოდებელი საქონელის რაოდენობა და მომსახურების ჯერადობა მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციის დანართი #1-ში.

2.1.2 შემსყიდველისათვის ელექტრონული სასწორების ტექნიკური მომსახურება გულისხმობს:

1. პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარებას, რომელიც მოიცავს ყველა სასწორზე: ტვირთმიმღები პლატფორმის კონტროლს; ელექტრული შეერთებების კონტროლს; ტენზოგადამწოდების კონტროლს; კვების ძაბვის პარამეტრების კონტროლს; ტერმინალის დიაგნოსტიკას და კონტროლს; ეტალონური გირებით გადამოწმებას სიზუსტეზე.

2. ავარიული გამოძახების შემთხვევაში დეფექტური აქტის შესაბამისად გამოვლენილი დაზიანების აღმოფხვრა-შეკეთებას;

3. სათადარიგო ნაწილის დაზიანების შემთხვევაში შეკეთებას და/ან ახლით შეცვლას.

2.1.3. პროფილქტიკური სამუშაოების უნდა ჩატარდეს ყოველთვიურად;

2.1.4 საჭიროების შემთხვევაში ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ ასევე უნდა უზრუნველყოს სასწორზე მომუშავე პერსონალისათვის კონსულტაციების გაწევა და მოხმარების წესების სწავლება;

2.1.5 გაწეულ მომსახურებაზე და მიწოდებულ ნაწილებზე სწორი ექსპლუატაციის პირობებში უნდა ვრცელდებოდებოდეს საგარანტიო ვადა არანაკლებ 3 თვის ვადით.

2.2 მომსახურების მიწოდების ვადა და ადგილი

2.2.1 ტენდერში გამარჯვებულმა ორგანიზაციამ პროფილაქტიკური მომსახურების მიწოდება უნდა უზრუნვეყოს ყოველთვიურად 2013 წლის 31 დეკემბრამდე, ხოლო ავარიული გამოძახების შემთხვევაში შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.

2.2.2 მომსახურების მიწოდების ადგილი მოცემული სატენდერო დოკუმენტაციის დანართი #1-ში.

2.3 ანგარიშსწორების პირობები:

2.3.1 სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის ადგილზე მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

2.3.2 ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად, ფაქტიურად მოწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად უნაღდო ანგარისწორებით ლარში.

2.3.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების შესაბამისად გაფორმებული ინსპექტირების აქტის, მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადებისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ-ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა სსიპ შემოსავლების სამსახურიდან) არაუგვიანეს 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.

2.3.4 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

2.4. დამატებითი მოთხოვნები

2.4.1 სატენდერო წინადადება, აგრეთვე ამ წინადადებასთან დაკავშირებული შემსყიდველსა და პრეტენდენტს შორის გაცვლილი მთელი კორესპონდენცია და დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე.

2.4.2 პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

2.4.3 სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახულ უნდა იყოს ყველა ხარჯის გათვალისწინებით, როგორიცაა: ტრანსპორტირების ხარჯები და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადები, თუ მოსაკრებლები (მათ შორის - დღგ).

2.4.4 სატენდერო წინადადების საერთო და თითოეული ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში - ლარი.

2.5. პრეტენდენტის მიერ სისტემაში ასატვირთი დოკუმენტებია:

2.5.1 პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინოს სატენდერო წინადადების ფასი, ფასების ცხრილი, მომსახურების ვადა და რეკვიზიტები დანართი №1-ის მიხედვით;

2.5.2 ინფორმაცია მომსახურების საგარანტიო ვადებისა და პირობების შესახებ;

2.5.3 ინფორმაცია ანალოგიური საქმიანობის გამოცდილების შესახებ (პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს მხოლოდ ანალოგიური საქმიანობის შესახებ ინფორმაცია), პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს ანალოგიური საქმიანობის მინიმუმ სამ წლიანი გამოცდილება;

2.5.4 პრეტენდენტის მომსახურე პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები (აღნიშნული ინფორმაციის წარმოდგენა სავალდებულოა);
2.5.5 სატენდერო წინადადების ხელის მომწერისათვის უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული მინდობილობა (საჭიროების შემთხვევაში).

3.ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №

ქ. თბილისი __ _____ 2013წ

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად ტენდერში გამარჯვებულთან. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციედლება გამარჯვებული პრეტენდენტის წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ სსიპ „შემოსავლების სამსახური“ ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის, ნიკოლოზ კახეთელიძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16
_____
(ორგანიზაციის დასახელება და იურიდიული მისამართი)

და მეორეს მხრივ _____ მისი _____ სახით, იურიდიული მისამართი _____ (შემდგომში მიმწოდებელი)
_____
(ორგანიზაციის დასახელება და იურიდიული მისამართი)

1. ხელშეკრულების ღირებულება
შემსყიდველმა გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი პლატფორმა სასწორების ტექნიკური მომსახურების შესყიდვაზე და ტენდერის შედეგად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება ---------- (----------) ლარად (შემდგომში ხელშეკრულების ღირებულება).

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი
2.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს.
2.2.ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:
2.2.1.მომსახურების მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;
2.2.2. შესაბამისი შემოწმების აქტის საფუძველზე მიწოდებული მომსახურების ან/და მისი ნაწილის ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან - ხელშეკრულების დანართი №1 (სატენდერო დოკუმეტაციის დანართი №1 - ტექნიკური პირობები) შესაბამისობის დადგენა ინსპექტირების აქტის გაფორმება.
2.2.3.სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე კონტროლის განხორციელება, მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.
2.3.ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ სსიპ „შემოსავლების სამსახურის“-ს უფროსის ბრძანებით განსაზღვრული პირთა ჯგუფი.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები
შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პირობები, ერთეულის ფასი, საერთო ღირებულება მოცემულია ხელშეკრულების დანართში #1 (სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №2).

4. მომსახურების მიწოდების პირობები
4.1. მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
4.2. მომსახურების მიწოდების ადგილი განისაზღვრება ხელშეკრულების დანართი #1–ით (სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №2) შესაბამისად.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

5.2.იმ შემთხვევაში თუ, შესრულებული მომსახურება შეესაბამება ხელშეკრულების დანართი №1-ით (სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №2) გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებს გაწეული მომსახურების მიღებას, ხოლო თუ, მომსახურების პროცესში გამოვლინდება, რომ იგი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულების დანართი №1-ით (სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №2) გათვალისწინებულ მოთხოვნებს შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხარვეზის აღმოფხვრა მიმწოდებლის ხარჯით.

5.3.იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 5.2. პუნქტის საფუძველზე არ განხორციელდა მომსახურების მიღება, მიმწოდებელი ვალდებულია 3 (სამი) დღის ვადაში უზრუნველყოს ხარვეზის აღმოფხვრა და პლატფორმა სასწორის სრულყოფილი შეკეთება, ხოლო აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების 14.1. პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

5.4 მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს მომსახურების მიწოდებისას მიღება-ჩაბარების აქტი, სასაქონლო ზედნადებები და საგადასახადო ანგარიშფაქტურა (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ–ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან).

5.5.ხელშეკრულების 5.4. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. #16, სსიპ „შემოსავლების სამსახური“.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, ეტაპობრივად, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ყოველი საანგარიშო თვის მომდევნო თვის 20 რიცხვამდე მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად მიწოდებული მომსახურების ღირებულების შესაბამისად.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

6.3.ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების 5.4. პუნქტის შესაბამისად გაფორმებული ინსპექტირების აქტის, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედდებულებისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ–ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან) არაუგვიანეს 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1. მიაწოდოს „შემსყიდველს“ სრულყოფილი და დროული მომსახურება;

7.1.2. „შემსყიდველს“ გაუწიოს მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;

7.1.3. უზრუნველყოს ნაკლის გამოსწორება 3 (სამი) დღის ვადაში;

7.1.4. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.5.დროულად განიხილოს "შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ დროული და სრული დაფინანსება;

7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.1.1.ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს მიწოდებული პროდუქციის ხარისხისა და რაოდენობის კონტროლი;

8.2.2. განაცხადოს უარი უხარისხო მომსახურების მიღებაზე.

8.3 იმ შემთხვევაში თუ ადგილი ექნება ისეთი მომსახურების გაწევას, რომლის შესაბამისი დასახელება და ფასი განსაზღვრული არ არის ხელშეკრულების დანართი #1-ით, მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურება ხელშეკრულების შეთანხმების ოქმის გაფორმების შემდეგ.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად არ განხორციელდა შესაბამისი რაოდენობისა და ხარისხის მომსახურების მიწოდება, მიმწოდებელს დაეკისრება პირსაგამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,5%–ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.3.შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 6.3. პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს მიმწოდებლის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2.ერთი მხარის მიერ 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;

14.1.3. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში;

14.1.4. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრამდე.

16. განსაკუთრებული პირობები

16.1. ხელშეკრულება შედგენილია -- ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;

16.2. ხელშეკრულების ----- ეგზემპლარი ინახება ,,მიმწოდებელთან''; ---- ეგზემპლარი ,,შემსყიდველთან''.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ „შემოსავლების სამსახური” ქ. თბილისი გორგასლის ქ. #16 _____ ნ. კახეთელიძე	_____ _____

4. დამატებითი ინფორმაცია.

4.1 სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში. ქ. თბილისი, გორგასლის ქ. #16, მე–11 სართული. საკონტაქტო პირი: ირაკლი სიხარულიძე +99532 2261256.

დანართი №1

პლატფორმა სასწორების ტექნიკური მომსახურების სატენდერო წინადადების ფასი (დღგ-ს ჩათვლით, ლარი), ფასების ცხრილი, მიწოდების ვადა და მოქმედების ვადა

„____" _____ 2013წ.
(შევსების თარიღი)

_____ სატენდერო წინადადების ფასი _____ (_____) ლარად.
(პრეტენდენტის დასახელება) (თანხა ციფრებით) (თანხა სიტყვიერად)

№	მომსახურების აღწერილობა	დასახელება და რაოდენობა	მომსახურების რაოდენობა (თვე)	ერთი თვის ღირებულება	მთლიანი ფასი	მომსახურების ადგილი
	პროფილაქტიკური მომსახურება					
1	ტვირთმიმღები პლატფორმის კონტროლი	**METTLER TOLEDO – 1ც. ESIT - 2 ც**	11			**პორტალი ლაგოდეხი**
2	ელექტრული შეერთებების კონტროლი		11			
3	ტენზოგადამწოდების კონტროლი		11			
4	კვების ძაბვის პარამეტრების კონტროლი		11			
5	ტერმინალის დიაგნოსტიკა და კონტროლი		11			
6	ეტალონური გირებით გადამოწმება სიზუსტეზე		11			
7	ავარიული დაზიანების გამოძახება და დიაგნოსტიკა		2			
	პროფილაქტიკური მომსახურება					
1	ტვირთმიმღები პლატფორმის კონტროლი	**FAIRSBANKS – 1 ც. ESIT - 2 ც.**	11			**პორტალი წითელი ხიდი**
2	ელექტრული შეერთებების კონტროლი		11			
3	ტენზოგადამწოდების კონტროლი		11			
4	კვების ძაბვის პარამეტრების კონტროლი		11			
5	ტერმინალის დიაგნოსტიკა და კონტროლი		11			
6	ეტალონური გირებით გადამოწმება სიზუსტეზე		11			
7	ავარიული დაზიანების გამოძახება და დიაგნოსტიკა		2			
8	პროფილაქტიკური მომსახურება სასწორი - 300K-PS-7080-SX-ART 300კგ.	**2 ც.**	11			
	პროფილაქტიკური მომსახურება					
1	ტვირთმიმღები პლატფორმის კონტროლი	**FAIRSBANKS 1 ც. METTLER TOLEDO 1 ც.**	11			**პორტალი სადახლო**
2	ელექტრული შეერთებების კონტროლი		11			
3	ტენზოგადამწოდების კონტროლი		11			
4	კვების ძაბვის პარამეტრების კონტროლი		11			
5	ტერმინალის დიაგნოსტიკა და კონტროლი		11			
6	ეტალონური გირებით გადამოწმება სიზუსტეზე		11			
7	ავარიული დაზიანების გამოძახება და დიაგნოსტიკა		2			
8	პროფილაქტიკური მომსახურება სასწორი - 300K-PS-7080-SX-ART 300კგ.	**1 ც.**	11			

	პროფილაქტიკური მომსახურება					
1	ტვირთმიმღები პლატფორმის კონტროლი	**ESIT- 1 ც.**	11			**პორტალი ვალე**
2	ელექტრული შეერთებების კონტროლი		11			
3	ტენზოგადამწოდების კონტროლი		11			
4	კვების ძაბვის პარამეტრების კონტროლი		11			
5	ტერმინალის დიაგნოსტიკა და კონტროლი		11			
6	ეტალონური გირებით გადამოწმება სიზუსტეზე		11			
7	ავარიული დაზიანების გამოძახება და დიაგნოსტიკა		2			
8	პროფილაქტიკური მომსახურება სასწორი - 300K-PS-7080-SX-ART 300კგ.	**1 ც.**	11			
	პროფილაქტიკური მომსახურება					
1	ტვირთმიმღები პლატფორმის კონტროლი	**ESIT- 1 ც.**	11			**პორტალი ფოთისა და ყულევის პორტები**
2	ელექტრული შეერთებების კონტროლი		11			
3	ტენზოგადამწოდების კონტროლი		11			
4	კვების ძაბვის პარამეტრების კონტროლი		11			
5	ტერმინალის დიაგნოსტიკა და კონტროლი		11			
6	ეტალონური გირებით გადამოწმება სიზუსტეზე		11			
7	ავარიული დაზიანების გამოძახება და დიაგნოსტიკა		2			
8	პროფილაქტიკური მომსახურება სასწორი - 300K-PS-7080-SX-ART 300კგ.	**1 ც.**	11			
	პროფილაქტიკური მომსახურება					
1	ტვირთმიმღები პლატფორმის კონტროლი	**METTLER TOLEDO 1 ც.**	11			**პორტალი ბათუმის პორტი**
2	ელექტრული შეერთებების კონტროლი		11			
3	ტენზოგადამწოდების კონტროლი		11			
4	კვების ძაბვის პარამეტრების კონტროლი		11			
5	ტერმინალის დიაგნოსტიკა და კონტროლი		11			
6	ეტალონური გირებით გადამოწმება სიზუსტეზე		11			
7	ავარიული დაზიანების გამოძახება და დიაგნოსტიკა		2			
	პროფილაქტიკური მომსახურება					
1	ტვირთმიმღები პლატფორმის კონტროლი	**ESIT- 3 ც.**	11			**პორტალი სარფი**
2	ელექტრული შეერთებების კონტროლი		11			
3	ტენზოგადამწოდების კონტროლი		11			
4	კვების ძაბვის პარამეტრების კონტროლი		11			
5	ტერმინალის დიაგნოსტიკა და კონტროლი		11			
6	ეტალონური გირებით გადამოწმება სიზუსტეზე		11			
7	ავარიული დაზიანების გამოძახება და დიაგნოსტიკა		2			
8	პროფილაქტიკური მომსახურება სასწორი - 300K-PS-7080-SX-ART 300კგ.	**2 ც.**	11			

	პროფილაქტიკური მომსახურება					
1	ტვირთმიმღები პლატფორმის კონტროლი		11			
2	ელექტრული შეერთებების კონტროლი		11			
3	ტენზოგადამწოდების კონტროლი		11			
4	კვების ძაბვის პარამეტრების კონტროლი	**ESIT- 3 ც.**	11			**პორტალი ნინოწმინდა**
5	ტერმინალის დიაგნოსტიკა და კონტროლი		11			
6	ეტალონური გირებით გადამოწმება სიზუსტეზე		11			
7	ავარიული დაზიანების გამოძახება და დიაგნოსტიკა		2			
8	პროფილაქტიკური მომსახურება სასწორი - 300K-PS-7080-SX-ART 300კგ.	**1 ც.**	11			
	პროფილაქტიკური მომსახურება					
1	ტვირთმიმღები პლატფორმის კონტროლი		11			
2	ელექტრული შეერთებების კონტროლი		11			
3	ტენზოგადამწოდების კონტროლი		11			
4	კვების ძაბვის პარამეტრების კონტროლი	**ESIT- 2 ც.**	11			**პორტალი გუგუთი**
5	ტერმინალის დიაგნოსტიკა და კონტროლი		11			
6	ეტალონური გირებით გადამოწმება სიზუსტეზე		11			
7	ავარიული დაზიანების გამოძახება და დიაგნოსტიკა		2			
	პროფილაქტიკური მომსახურება					
1	ტვირთმიმღები პლატფორმის კონტროლი		8			
2	ელექტრული შეერთებების კონტროლი		8			
3	ტენზოგადამწოდების კონტროლი		8			
4	კვების ძაბვის პარამეტრების კონტროლი	**ESIT- 2 ც.**	8			**პორტალი ყაზბეგი**
5	ტერმინალის დიაგნოსტიკა და კონტროლი		8			
6	ეტალონური გირებით გადამოწმება სიზუსტეზე		8			
7	ავარიული დაზიანების გამოძახება და დიაგნოსტიკა		2			
8	პროფილაქტიკური მომსახურება სასწორი - 300K-PS-7080-SX-ART 300კგ.	**1 ც.**	8			
	პროფილაქტიკური მომსახურება					
1	ტვირთმიმღები პლატფორმის კონტროლი		11			
2	ელექტრული შეერთებების კონტროლი		11			
3	ტენზოგადამწოდების კონტროლი		11			
4	კვების ძაბვის პარამეტრების კონტროლი	**ESIT- 1 ც.**	11			**გ.ე.ზ. თბილისი**
5	ტერმინალის დიაგნოსტიკა და კონტროლი		11			
6	ეტალონური გირებით გადამოწმება სიზუსტეზე		11			
7	ავარიული დაზიანების გამოძახება და დიაგნოსტიკა		2			
8	სასწორი - 600K-PM-1212-GX-ART (600კგ)	1ც	11			

9	პროფილაქტიკური მომსახურება სასწორი - 002T-PC-1215-SX-ART (2000კგ)	1ც	11			
10	პროფილაქტიკური მომსახურება სასწორი - 150K-PS-7080-SX-ART (150კგ)	1ც	11			
11	პროფილაქტიკური მომსახურება სასწორი - 150K-PS-7080-SX-ART (150კგ)	1ც	11			
12	პროფილაქტიკური მომსახურება სასწორი - 60K-PS-4050-IX-ART (60კგ)	1ც	11			
13	პროფილაქტიკური მომსახურება სასწორი - 60K-PS-4050-IX-ART (60კგ)	1ც	11			
14	პროფილაქტიკური მომსახურება სასწორი - 003T-PC-1215-SX-ART (3000კგ)	1ც	11			
15	პროფილაქტიკური მომსახურება სასწორი - 002T-TT-ART (ტრანსპ.) 2000კგ.	1ც	11			
16	პროფილაქტიკური მომსახურება სასწორი - 002T-TT-ART (ტრანსპ.) 2000კგ.	1ც	11			
17	ავარიული დაზიანების გამოძახება და დიაგნოსტიკა		2			
	პროფილაქტიკური მომსახურება					
1	სასწორი 600K-PM-1212-GX-ART (600კგ)	1ც	11			**გ.ე.ზ. ბათუმი**
2	სასწორი 002T-TT-ART (ტრანსპ) (2000კგ)	1ც	11			
3	ავარიული დაზიანების გამოძახება და დიაგნოსტიკა		2			
	პროფილაქტიკური მომსახურება					
1	პროფილაქტიკური მომსახურება სასწორი - 002T-PC-1215-SX-ART (2000კგ)	1 ც.	11			**გ.ე.ზ. ფოთი**
2	ავარიული დაზიანების გამოძახება და დიაგნოსტიკა		1			
	პროფილაქტიკური მომსახურება					
1	პროფილაქტიკური მომსახურება სასწორი - 300K-PS-7080-SX-ART 300კგ.	2 ც.	11			**თბილისის საერთაშორისო აეროპორტი**
2	ავარიული დაზიანების გამოძახება და დიაგნოსტიკა		1			
	პროფილაქტიკური მომსახურება					
1	პროფილაქტიკური მომსახურება სასწორი - 300K-PS-7080-SX-ART 300კგ.	1 ც.	11			**ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი**
2	ავარიული დაზიანების გამოძახება და დიაგნოსტიკა		1			
	პროფილაქტიკური მომსახურება					
1	პროფილაქტიკური მომსახურება სასწორი - 300K-PS-7080-SX-ART 300კგ.	1 ც.	11			**ცენტრალური არქივი. თბილისი, ლილოს დასახლება**
2	ავარიული დაზიანების გამოძახება და დიაგნოსტიკა		1			
			ჯამი:			

სარემონტო მომსახურება

№	მომსახურების დასახელება	სასწორების დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	მთლიანი ფასი
1	ტენზოგადამწოდების გამოცვლა	**METTLER TOLEDO**	4		
		ESIT	5		
		FAIRSBANKS	4		
		სამრეწველო	6		
2	სასწორების ელექტრული შეერთებებისა და დაზიანებული ბლოკების გამოცვლა	**METTLER TOLEDO**	4		
		ESIT	5		
		FAIRSBANKS	4		
		სამრეწველო	6		
3	კომპიუტერის (ან ტერმინალის) პროგრამული უზრუნველყოფა	**METTLER TOLEDO**	4		
		ESIT	5		
		FAIRSBANKS	4		
		სამრეწველო	6		
4	კომპიუტერებზე დაზიანებული (ან ახალი USB-COMM პორტების გადამყვანების გამოცვლა (დაყენება) და დაინსტალირება	**METTLER TOLEDO**	4		
		ESIT	5		
		FAIRSBANKS	4		
		სამრეწველო	6		
				ჯამი:	

№	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	მთლიანი ფასი
1	ტენზოგადამწოდი **SC-20-A** (ცალი)	**3**		
2	ტენზოგადამწოდი **SP-500Kg-C3** (ცალი)	**1**		
3	ტერმინალი **PWI-D** (ცალი)	**2**		
4	ტერმინალი **ART** (ცალი)	**2**		
5	ჯეკ-ბოქსი **J4** (ცალიი)	**2**		
6	სპეც.კაბელი **EC-634 VCN** (მეტრი)	**50**		
			ჯამი:	

შენიშვნა:

(*) დღგ-ს გადამხდელის შემთხვევაში სატენდერო წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს დღგ-ს გათვალისწინებით.

გამარჯვებულ პირს დამატებით მოეთხოვება მის მიერ დაფიქსირებული საბოლოო ფასის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესაბამისი სატენდერო წინადადებისა და ფასების ცხრილის განფასება დანართი №1-ის შესაბამისად, მოთხოვნიდან არაუმეტეს 3 სამუშაო დღის განმავლობაში.

(**) მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს შემოსავლების სამსახურის ტერიტორიულ ერთეულებში, ცხრილში მითითებულ მისამართებზე.

(***) პროფილაქტიკური მომსახურების მიწოდება განხორციელდება თვეში ერთხელ, ხოლო სასწორების მწყობრიდან გამოსვლის, დაზიანების შემთხვევაში შეკეთება უნდა განხორციელდეს აღნიშნულის შესახებ შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.

რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის დასახელება და კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

ანგარიშის ნომერი:

_____ _____

(თანამდებობა, სახელი, გვარი) (ხელმოწერა)